თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 12

ქ. თელავი 18.12.2020 წელი

**თავმჯდომარეობდა:** საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - **დავით გოგოშვილი.**

**ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტიტე დარეჯანიშვილი; ალექსანდრე შათირიშვილი; ნანა ხვისტანი; ზურაბი ლილუაშვილი; გიგა მამუკელაშვილი.**

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:** სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე - **ლევან კოჭლოშვილი;** ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები"-ს თავმჯდომარე - **გიორგი ჩაბრაშვილი;** საკრებულოს აპარატის უფროსი - **ტარიელ გალახვარიძე;** საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საქმეთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **მედეა ჩაფურიშვილი;** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **ლია ფარსადანიშვილი;** საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი - **ნიკოლოზ ესიტაშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ნათია ვაყელიშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი - **ლევან ღარიბაშვილი;** თე4ლავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი - **გიორგი ენუქიძე;** მოქალაქე - **მაკა მოსიაშვილი.**

**თავმჯდომარემ კომისიის სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა დღის წესრიგი**

## დღის წესრიგი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების მდგომარეობის და „თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის 2021-2024 წლებისთვის" განხილვის შესახებ.

**მომხსენებელი - დ. გოგოშვილი**

<u>მოისმინეს:</u> 1. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების მდგომარეობის და „თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი 2021-2024 წლებისთვის" განხილვის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> კომისიის თავმჯდომარემ ზოგადად ისაუბრა პრიორიტეტების დოკუმენტზე. აღნიშნა რომ „თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი 2021-2024 წლებისთვის" შედგენილია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით. მან ასევე ისაუბრა „თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტთან" დაკავშირებით. აღნიშნა, რომ ყველა საკითხი გავლილია დეტალურად მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამოთქმული შენიშვნები/რეკომენდაციების უმრავლესობა გათვალისწინებულია.

**გიგა მამუკელაშვილმა** დადებითად შეაფასა თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტი და აღნიშნა, რომ არსებული მსოფლიო პანდემიის გამო შემოსავლების გაზრდა პრაქტიკულად შეუძლებელია. წინა წლებთან შედარებით, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი უფრო მეტად დახვეწილია.

**მაკა მოსიაშვილი** - საახალწლოდ რამდენი ბენეფიციარი მიიღებს სასაჩუქრე პაკეტს, რაზეც გ. ენუქიძემ უპასუხა, რომ ჯამში 1780 ოჯახი მიიღებს სასაჩუქრე პაკეტს.

ამდენად, დ. გოგოშვილმა კენჭი უყარა წარმოდგენილ პროექტს, რაზეც კომისიაზე დამსწრე წევრების სრული მხარდაჭერა ჰქონდა.

<u>გადაწყვიტეს:</u> კომისიამ „თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტი" და „თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის 2021-2024 წლებისთვის" შეაფასა დადებითად (ოქმს თან ერთვის) და მიზანშეწონილად მიიჩნია წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას. შემდგომში საკრებულოს სხდომაზე წარდგენის მიზნით.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე — დ. გოგოშვილი

„თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტი“-სა და „თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი 2021-2024 წლებისათვის“ განხილვის

# დ ა ს კ ვ ნ ა

2020 წლის 18 დეკემბერს ჩატარდა თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა, სადაც განხილულ იქნა „თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტი“ და „თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი 2021-2024 წლებისთვის“.

კომისიამ ჩათვალა რომ წარმოდგენილი პრიორიტეტების დოკუმენტი შედგენილია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ხოლო რაც შეეხება „თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტს“ იგი თანხვედრაშია „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებასთან. მუნიციპალიტეტის წლიური ბიუჯეტის ცალკეული პროგრამები და ქვ.პროგრამები დაკონკრეტებულია და შეიცავს დაფინანსების მოცულობას, აღწერას, მიზანსა და შედეგს.

„თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტი“ და თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი 2021-2024 წლებისთვის“, მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენისთანავე, დეტალურად იქნა განხილული მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოკვეთილი შენიშვნა/რეკომენდაციების უმრავლესობა გათვალისწინებულ იქნა.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი როგორც შემოსულობების ასევე ხარჯების ნაწილი განისაზღვრება 23275,6 ათ. ლარით. რაც გასული წლის საწყის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 1488,2 ათ ლარით. რაც გამოწვეულია მსოფლიო პანდემიით. მიუხედავად ამისა თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლების ბიუჯეტი რაციონალურად არის გაწერილი მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულ დარგებზე. როგორიცაა:

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - 7033,8 ათ ლარი, რაც გასული წლის საწყის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 2071,2 ათ. ლარით (2020 წელი - 9105,0 ათ. ლარი); განათლების დაფინანსება - 5478,0 ათ. ლარი, გაზრდილია 578,0 ათ. ლარით (2020 წელი - 4900,0 ათ. ლარი); კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის დაფინანსება - 3696,2 ათ. ლარი, შემცირებულია 84.1 ათ. ლარით (2020 წელი - 3780,3 ათ. ლარი); ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 2493,9 ათ. ლარი, მცირედით, მაგრამ გაზრდილია 101,3 ათ. ლარით (2020 წელი - 2392,6 ათ. ლარი). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დაემატა ორი მნიშვნელოვანი პროგრამა. ზოგადად,

სასურველია მუნიციპალიტეტმა დანერგოს მოსახლეობისთვის, ისეთი სერვისების მიწოდება, რომელიც წაადგება არა მარტო სოციალურად დაუცველი ფენის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. არამედ ზოგიერთი სოციალური პროგრამის მილევასაც შეუწყობს ხელს, რაც თავისთავად არის დადებითი ტენდენცია და ემსახურება ბიუჯეტის სწორად და რაციონალურად დაგეგმვას.

„თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტი“ და „თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი 2021-2024 წლებისთვის“ კომისიამ შეაფასა დადებითად.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე დ. გოგოშვილი